07
ρ-197

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დანელია როზეტა

დასავლეთგერმანული მემარცხენე პრესა მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში (ჟურნალები „კურსბუხი“ და „კიურბისკერნი“)

10.01.10 – ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიალოგიის, კომუნიკაციისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ჯოლოგუა თამაზ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

ოფიციალური ოპონენტები: – 1. სიგუა სოსო,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. ჩიქვილაძე დალი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.10)

3. ფირცხალავა ნინო,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.05)

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის „21“ [illegible] „2“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის „10“ [illegible]

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. XX საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ დაარსება ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა დასავლეთ გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში. ამ გამოცემების დემოკრატიულმა მიმართულებამ სათავე დაუდო დასავლეთ გერმანიაში ჟურნალისტიკის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს. XX ს. 60-70-იან წლებში ერთდროულად ორი მემარცხენე ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა და თანაარსებობა უთუოდ გამართლებული იყო იმ მძაფრ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც წლების მანძილზე სუფევდა ომისშემდგომ გერმანიაში. აღნიშნული ჟურნალების პუბლიცისტიკის განხილვა იმ პერიოდის დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ პროცესებში გარკვევისა და ლიტერატურულ პრობლემებში ჩაღრმავების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ჟურნალების გარშემო შემოკრებილი პროგრესულად მოაზროვნე მწერლების, მეცნიერების, ჟურნალისტებისა და კრიტიკოსების (ჰ. ბიოლი, ჰ.მ. ენცენსბერგერი, უ. ჯონსონი, მ. ვალზერი, ა. ანდერში, გ. გრასი და სხვ.) პუბლიცისტური ნააზრევის ანალიზი აქტუალურია რიგ მასშტაბურ პრობლემათა წამოწევისა და ანალიზისთვის, პრობლემებისა, რომლებიც ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ფუნქციის, საზოგადოებრივი დანიშნულებისა და როლის განმსაზღვრელი მნიშვნელობის საკითხებს მოიცავენ. იმავდროულად აღნიშნული ჟურნალების პუბლიცისტიკის მრავალასპექტიანი თემატიკა ისტორიული თვალსაზრისით ნამდვილი მატიანეა, დოკუმენტური ანარეკლია იმ ისტორიული ძვრებისა, გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმთავრესი პროცესებისა, რომლებშიც აქტიურად იყო ჩაბმული ორივე ჟურნალი და ამ მხრივ მათ დიდი წილი უდევთ ეპოქალური დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ნიადაგის მომზადებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში. „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ პუბლიცისტთა შეფასებები და დასკვნები გლობალური პრობლემატიკის ცალკეულ საკითხებზე, საზოგადოების წინააღმდეგობრივი განვითარების კანონებზე მრავალი თანამედროვე ქვეყნის განვითარების მოდელს მიესადაგება და არა მარტო სპეციალისტებს, არამედ დაინტერესებულ მკითხველსაც საგულისხმო ანალოგიებსა და პარალელებს გამოაძებნინებს. ამდენად,